# შეღავათი სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილით განსაზღვრულ ობიექტებზე 11102

## ფაქტობრივი გარემოებები

საწარმო 2015-2016 წლებში საცხოვრებელ კორპუსში არსებული ფართების მიწოდებას განიხილავს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციად, ვინაიდან მიწოდებული ქონება განთავსებულია ობიექტში, რომელიც შეტანილია სსკ-ის 309-ე მუხლის 81-ე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ ნუსხაში (კორპუსის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის).

კორპუსი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2015 წლის თებერვლის თვეში.

## შეფასება

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2018 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს.

ამავე მუხლის 81-ე ნაწილის შესაბამისად, უძრავი ქონების დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მიზნით იმ ობიექტების ნუსხას, რომლებიც აკმაყოფილებს ამავე მუხლის 79-ე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

საწარმოს ჰქონდა დადგენილი შეღავათით სარგებლობის უფლება, ვინაიდან ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წლის თებერვლის თვეში, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს 79-ე და 81-ე ნაწილები ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან, შესაბამისად, იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში.

## ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებით ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

**ანოტაცია**
**„შეღავათი სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილით განსაზღვრულ ობიექტებზე“ №11102**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიზანია მასში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, გადასახადის გადამხდელის მიერ უძრავი ქონების მიწოდებისას დღგ-ის შეღავათით სარგებლობის წესის განსაზღვრა.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საწარმო 2015-2016 წლებში საცხოვრებელ კორპუსში არსებული ფართების მიწოდებას განიხილავს დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ოპერაციად, ვინაიდან მიწოდებული ქონება განთავსებულია ობიექტში, რომელიც შეტანილია სსკ-ის 309-ე მუხლის 81-ე ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ ნუსხაში (კორპუსის მშენებლობაზე გაცემული ნებართვა ძალაშია 2008 წლის 8 აგვისტოსათვის). კორპუსი ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2015 წლის წლის თებერვლის თვეში.

სსკ-ის 309-ე მუხლის 79-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2018 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს.

ამავე კოდექსის 309-ე მუხლის 81-ე ნაწილის თანახმად, უძრავი ქონების დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლების მიზნით იმ ობიექტების ნუსხას, რომლებიც აკმაყოფილებს ამავე მუხლის 79-ე ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. (2015 წლის 20 მარტის №3407 კანონი, ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან (საკანონმდებლო ცვლილების განმარტებითი ბარათის მიხედვით, ცვლილება ეხება დაუსრულებელ მშენებლობებს და შეღავათის დაწესების მიზანია მათი დასრულების ხელშეწყობა).

საწარმოს ჰქონდა დადგენილი შეღავათით სარგებლობის უფლება, ვინაიდან ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წელის თებერვლის თვეში, ხოლო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს 79-ე და 81-ე ნაწილები ძალაშია 2015 წლის 1 იანვრიდან, შესაბამისად იმ ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად, სადაც განთავსებულია მიწოდებული უძრავი ქონება, უფლებამოსილი ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში.